



# ბორჯომი

2 ივნისი  
ხუთშაბათი  
2022 წელი  
№22 (9232)

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

უწყ. 40-თმთრი

## მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

27 მაისს გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**.

დეპუტატებმა ცვლილებები შეიტანეს სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტო“-ს მიერ სამშენებლო საქმიანობის დარღვევის შესახებ მითითების შემოწმების აქტის, უწყების დადგენილების და საალსრულებლო ფურცლის ფორმების დამტკიცების თაობაზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აგვისტოს №30 დადგენილებაში.

ცვლილებები შევიდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „ახალგაზრდობის ხელშეწყობა-დახმარება“ ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და ფულადი ჯილდოს გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №38 დადგენილებაში.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებით.

ცვლილებები შევიდა „სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელსა და დაბებზე თანხის განაწილების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 აპრილის განკარგულებაში. ასევე ცვლილებები შევიდა „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის განკარგულებაში.

მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 22 წლის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში. დეპუტატებმა მოისმინეს „ბორჯომის კულტურისა და სელოვნების ცენტრის“ და „ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანების“ დირექტორების **გიორგი ჯაბაშვილი** და **ნაირა ახანთაშვილი** ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

## საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა

რუსთაველის ქუჩაზე არსებულ სკვერში მდებარე საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალთან დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა პირებმა მიულოცეს დამსწრე საზოგადოებას.

ფულადი ჩვენს უმთავრეს ეროვნულ დღესასწაულს - 26 მაისს მთელ საქართველოს, თითოეულ მოქალაქეს. 26 მაისი უმნიშვნელოვანესი თარიღია საქართველოსთვის. საუკუნეების განმავლობაში სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა იყო ის მთავარი იდეა და საფრთხე, რაზეც იდგა ქართველი ერო. თაობიდან თაობას გადაეცემოდა დამოუკიდებლობის მოპოვებისა და სამშობლოს გათავისუფლების იდეა. ამ იდეისთვის იბრძოდნენ სამშობლოსთვის თავდადებული გმირები და მათ ბრძოლას უკვალოდ არ ჩაუვლია, 1918 წლის 26 მაისს, ასრულდა ყველა ქართველის სანუკვარი ოცნება და ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. საქართველოს დამოუკიდებლობა დიდხანს ვერ გაგრძელდა, მიუხედავად ამისა ჩვენს ხალხს არ შეუძნებია ფიქრი სამშობლოს დამოუკიდებლობაზე. ყველა თაობა გულთბილად გონებით ატარებდა ამ იდეას. 31 წელია საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა. თითოეულ ჩვენგანს ვაღიანა გაუფრთხილდეს ამ მონაპოვარს, განაცხადა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **მთაბარძოლიშვილი**.

საქართველო დამოუკიდებლობის დღე ჩვენს ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეროვნული დღესასწაულია, ეროვნულმა საბ-



ჭომ მიიღო ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტი, რომლის პირველ პუნქტში ეწერა „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებებთან მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

191 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის დღე ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადდა. გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, უფალი გვარადეთ თითოეულ თქვენთაგანს და სრულიად საქართველოს - განაცხადა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**.

ლონისძემა მუსიკალური ნომრებით გააფორმეს ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა ანსამბლებმა: „მზემინამ“, „ნენანამ“ და „ბორჯომმა“.

## შეხვედრა ქალთა უფლებების დაცვისათვის

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე **ნინო წილოსანი** სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრას ესწრებოდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**.

შეხვედრაზე ისაუბრეს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე და მათი გადაჭრის გზებზე, გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების გაძლიერების საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმებზე, ასევე ნინო წილოსანმა გენდერული საბჭოს წევრებს გააცნო გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა.

## ჩაუტაცდათ სტინინგული გამოკვლევები

ბორჯომში მცხოვრებ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს მრავალპროფილური სკრინინგული გამოკვლევები ჩაუტარდათ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილების უფასო სამედიცინო მომსახურება ჩაუტარდათ.

პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებმა სხვადასხვა მომსახურებით ისარგებლეს.

ექიმ-სპეციალისტთა დანიშნულების შესაბამისად გაიცა მედიკამენტები.

გამოკვლევებში საქართველოს წამყვანი კლინიკების - ი.ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკა, ოფთამოლოგიური კლინიკა „ახალი მზერის“, გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკა, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის და დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის აფხაზეთის ექიმ-სპეციალისტები მონაწილეობდნენ.

პროგრამის მიმდინარეობას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრი **ლევან ჩაკვეტაძე**, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **იოსებ რაზმაძე**, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვის უფლებების დაცვის და მხ-



არდაჭერის სამსახურის უფროსი **მისიელ სუციშვილი**, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი **ირინა ალბორთილი**, აფხაზეთის ა/რ იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიული ორგანოს და აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

## ჩამომსხმელი ქარხნის თანამშრომელთა უპალო გაუიხვა

31 მაისს დილის 6:00 საათიდან „ბორჯომის“ ჩამომსხმელი ქარხნის თანამშრომლებმა უფადო გაიცვა გამოაცხადეს და ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიკრიბნენ.

აქციის მონაწილეების მოთხოვნები 6 პუნქტისგან შედგება: დაუყოვნებლივ გადადგინონ სამსახურში უკანონოდ გათავისუფლებული 50 ადამიანი; დაირიცხოს ხელფასები; დაბრუნება ქველ შრომით პრობლემაზე გაფორმდეს უფადო ხელშეკრულებები ყველა დასაქმებულთან; აღმოიფხვრას შანტაჟის, მუქარისა და იძულების ფაქტები და დადგეს ადმინისტრაციის ცალკეული პირების პასუხისმგებლობის საკითხი; გაფორმდეს კოლექტიური ხელშეკრულება და მოხდეს სხვა მნიშვნელოვანი დეტალებზე შეთანხმება, რომლებიც მნიშვნელოვანია ღირსეული და უსაფრთხო სამუშაო პრობლემისთვის.

გაფიცულ თანამშრომლებს მიმართა და ბრძოლისკენ მოუწოდა საქართველოს აგრარული მეურნეობაში, ვაჭრობასა და მრეწველობაში დასაქმებულთა პროფკავშირების თავმჯდომარე **გიორგი ჯაბაშვილი**.

ჩვენთან საუბრისას გათავისუფლებულმა ქარხნის თანამშრომელმა **ანდრო ბაბლიაშვილი** აღნიშნა: - ერის ვთხოვთ



სახელმწიფოს, საქართველოს პარლამენტს, ეკონომიკის სამინისტროს, პრემიერ-მინისტრს **ირაკლი ლარიაშვილს**, რომელსაც ძალიან ვაფასებთ და დიდ პატივს ვცემთ, ხალხს გვერდით დადგნენ, გულთან მიიტანონ ჩვენი პრობლემები, უნდა მოუსმინონ ორივე მხარეს. ხელფასების განახერხება მხოლოდ ჩვენ არ უნდა გვეჩუბოდეს, სამართლიანობას ვითხოვთ. წყალი არის რაიონის და ვეძრობით სახელმწიფო მართავდეს მას. დღეს, აქ მთელი ბორჯომი უნდა იდგეს ბორჯომელები იმაზე მეტად უნდა სარგებლობდნენ ამ სიმდიდრით, ვიდრე სარგებლობენ. თუ სიტყვის თავისუფლებაა, მე სომ მაქვს უფლება ჩემი აზრი გამოვხატო, მაშინ რატომ მსჯი?

ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე მიბლიბებულია სამართალდაცველები.

## შაყრინვა ახორციელდა საერთო კრების შესახებ

სააქციო საზოგადოება „პანსონატი კერხობი“ (ს/ნ:226109387) დირექტორის დავალებით იწვევს საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2022 წლის 21 ივნისს 15:00 საათზე, მისამართზე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 1 შესახვევი 1/43.

სააქციო საზოგადოება „პანსონატი კერხობი“ (ს/ნ:226109387) იურიდიული მისამართი: საქართველო, ბორჯომი, დაბა წალვერი. სს „პანსონატი კერხობის“ კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2022 წლის 07 ივნისი. სს „პანსონატი კერხობის“ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერ-

ბად ირიცხებიან.

**სს „პანსონატი კერხობი“:**  
1. აქციონერებს შორის დივიდენდის განაწილება; კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მონვეულნი არიან: ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, თუ ისინი რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2022 წლის 07 ივნისის მდგომარეობით. აქციონერები კრებაზე მონაწილეობის უფლებას შეამოწმებენ სს „პანსონატი კერხობის“ (ს/ნ:226109387) რეგისტრატორთა სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებულ რეგისტრატორთან“, მისამართი: ქ. თბილისი, მოსაშვილის №11, ტელეფონი: 222 53 55; 225 15 60. დირექტორი: **ნანა იმედაშვილი**

## რა იანსაკაშვილი

„გაფიცვაში მონაწილეობს ჩვენი თანამშრომლები მხოლოდ ნაწილი, ბორჯომის ჩამომსხმელ ორივე ქარხანაში ამჟამად დასაქმებულთა 630 ადამიანი.“

მოგესხენებათ, დღეს კომპანია არის ურთულეს ვითარებაში, გაყინულია ანგარიშები, შეჩერებულია წარმოება და ექსპორტის 80%-ზე მეტი. დღეს ჩვენი მთავარი მიზანი კრიზისის დაძლევა და წარმოების გადარჩენაა. სწორედ ამიტომ, იმისათვის, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან, საქართველოს ბაზარზე არ გვეკონდეს წყვეტი, ჩვენს ხელთ არსებული მცირედი რუსურსით და მინიმალური დატვირთვით დავიწყეთ წარმოების პროცესი. გვინდა მუშაობის შესაძლებლობა მივცეთ თანამშრომლებს იმ ნაწილს, ვინც მზადაა განახლებულ მენეჯმენტთან ერთად იბრძოლოს ამ კომპანიის გადასარჩენად.

„IDS ბორჯომი საქართველო“ რჩება ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო დასაქმებულად, ჩვენ ამ ურთულეს პირობებშიც უპრეცედენტო გადაწყვეტილება მივიღეთ, მასშტაბური გათავისუფლების ნაცვლად, თანამშრომელთა 95%-ი შევინარჩუნეთ, ასევე, უცვლელი დავტოვეთ სახელფასო განაკვეთი. შეიცვალა მხოლოდ არასამუშაო საათების დაანგარიშების სისტემა, თუმცა ის კვლავაც ინდუსტრიაში დამკვიდრებულ პრაქტიკაზე უკეთესია. საზვასით მიხედა აღვნიშნო, რომ - ნამუშევარი საათების ანაზღაურება უცვლელი რჩება ყველა თანამშრომლისთვის.

აღნიშნულ ვითარებაში კი, არსებული კრიზისის გათვალისწინებით, ხელფასების 25%-იან ზრდაზე საუბარი, არარეალური მოთხოვნაა და მიზანმიმართული მდგომარეობაა, რომ დაზიანდეს ისედაც მინიმუმამდე დაყვანილი წარმოების პროცესი და დასაქმებული ადამიანები, - აცხადებს ბორჯომის №1 ჩამომსხმელი ქარხნის დირექტორი, **მირაბ ახმეძე**.



ამას წინათ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სცენა განსაკუთრებულმა ღონისძიებამ შეამკო. მოგესვენებთ, ისრაელში ქართული ხელოვნების ცენტრის დამფუძნებლის, მარინე გელაშვილის ინიციატივით ერთი გამორჩეული, ეროვნული სული გაღვინდა ბორჯომის ცენტრში დაჯილდოების ცერემონიაში შედგა. იკითხავთ, რა პროექტია ასეთი? ბორჯომის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის, ლია გულაშვილის ორგანიზებით ამავე სკოლის, XI კლასში დაიწყო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწავლის შემდეგი ეტაპი: საფუძვლიანად დაიწყო დამუშავება სხვადასხვა თემის მიმოიხილეს მეცნიერული სიმალღებებით პერსონაჟთა რსული გაღრმავება. ქალბატონ ლიას, ბუნებრივია გაუჩნდა დიდებული იდეა, რომ საზღვრებს გარეთ მყოფი პატრიოტი ქალბატონის მარინა გელაშვილისთვის ეთხოვა თანამედროვე ტექნოლოგიების მოშვებით ახალგაზრდებს დაეთავსებინათ ვეფხისტყაოსნის მონასტერი. ორივე სულისჩამდგმელისთვის ეს გახდა ბიჭი იდეისთვის ფრთები შეესხათ და უფრო მასშტაბური გახდა ქართულთა უდიდესი შემოქმედის შოთას პოემა. ტელევიზიით ისრაელში მართლაც დაუვიწყარი იყო ყველასთვის. ერთ-ერთი უპრეცედენტო გაკვეთილი ჩატარდა ბორჯომიდან ისრაელში, სადაც ჩაერთვნენ ისრაელში საქართველოს ელჩი, ბატონი **ლამა ფანა** და რუსთაველილოგი, ბატონი **ლადო ქვლიცი** პროექტის პირველი ეტაპი იქ იმ იმედით დასრულდა, რომ აქედან, მართლაც რეალურად ფეხი დაედგათ ქართველ ახალგაზრდებს წინაშე მინაზე იქ, სადაც ოდესღაც რუსთაველმა თავი შეაფარა. ამის დასტურად კი ფრესკა დღესაც შემოგვეყრება ვეფხისტყაოსნის კედლიდან, რომელსაც აღმოჩენილი 60, ხოლო საერთოდ 760 წელი შეუსრულდა. თითქოს დროში ისევ წამოიძვროს ზეითი აღნიშნული ღონისძიება, ოღონდ, ახლა უკვე პროექტს „მემკვიდრეობა“ დაერქვა. ისრაელში ქართული ხელოვნების ცენტრში ამ საიუბილეო თარიღს

დაუკავშირა მოულოდნელი სიხარული მიენიჭებინა საკუთარი ქალაქის, ვირტუალურ გაკვეთილში მონაწილე მოსწავლეებისთვის და სპეციალურად მათთვის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაერთა ინსტიტუტმა უძველესი კალიგრაფიული შრომით დაბეჭდილი სიგელებით გადამცვიტა მათი დაჯილდოება. სწორედ, ამ ცერემონიაში დაამშვენა გიორგობას ბორჯომი! თითქოს, ემიგრაციიდან ხელახლა გვევრებოდა ქართული სული, ეროვნული მუსტი, რომლის ტარებაც არასდროს გაჭირვებია ქალბატონ მარინეს. ასევე სასაჩუქრე ნაკრებში გახლდათ ბრენდირებული ბლოკნოტი, ქართული ხელნაერთი

გამოცემამართ. ეს რუდუნებით მიღწეული გზა ახლა ახალგაზრდობამ მხრებით უნდა ზიაროს. ქართველი ემიგრანტების მოფერება მონატრებულ სამშობლოზე ასე გამოიხატება! მადლობა საქართველოს ხელნაერთა ეროვნულ ცენტრს თანამშრომლობისათვის! ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი სამომავლოდ გვეიმედება. დამატებითი საჩუქრები ამ არასველებრივ მეთერთმეტეკლასელებისთვის ჯერ გზაშია და აუცილებლად მოვაადრესებამდე!

**ლია გულაშვილი**, ბორჯომიდან ვირტუალურ გაკვეთილს მესაქე თავის სამადლო ბელ სიტყვაში სცენიდან გულთადად ამბობს: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ აღმოჩნდა კვლავ ჩვენი გაერთიანების სათავე უდრემქი მადლობა ისრაელში ქართული ხელოვნების ცენტრს ჩვენი მოსწავლეების დაჯილდოებისთვის, ჭეშმარიტ მამულიშვილს, ქალბატონ მარინე გელაშვილს, ყველა იმ ადამიანს, ვინც ოდნავი წვლილი შეიტანა ჩვენი მოსწავლეების სიხარულში, მათი თვალსაწიერის გაღრმავებაში. ამ თანდაგომისა და ყურადღების გადასცემად სიგელებს ვუგზავნით მათ დაუვიწყარი თანამშრომლობისათვის.



სცენა მოსწავლეების გულწრფელი, ემოციური მადლობის სიტყვებით გათბა. მათ კიდევ ერთხელ შეახსენეს პოემის მთავარი აფორიზმები და მათ შორისაც ყველაზე მთავარი, რომ **„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელა“**. მშვენიერ საზეიმო დაჯილდოებას უძღვოდა წამყვანი **ლევა მუსურაძე** და მუსიკალურად ალამაზებდა სალიტერატორო სკოლის ჯუნდი.

ბის პროცესებზე ამასთან საყურადღებოა კოლხური ცულეებისა და მათ ჩამოსასხმელ ყალიბებთან ერთად ცენტრალურ ამირკავკასიურ ცულეების თანაგრძობა, რაც უნდა ნიშნავდეს ალმოსავლურ და დასავლურ ქართულ კულტურათა შეხვედრის მომენტს. განძში შემავალი კოლხური ცულეების, ჩამოსასხმელი ლითონის ყალიბების საბუთია ხეობაში კოლხური ცულეების ინტენსიური წარმოების ერთ-ერთი ცენტრის არსებობა. მეცნიერებმა

**რემოს პოზიციის** ციხისჯვრელი 23 წლის ბიჭია, რომელსაც ძალიან უყვარს თავისი ლამაზი სოფელი. ამბობს, რომ ყოველთვის ყველაფერი აინტერესებდა თავის სოფლის შესახებ, ყოველთვის უსმენდა უფროსების მონათხრობს გარდასული წლების ამბების შესახებ, რომლებსაც უფრო ლეგენდებისა და თქმულებების იერი დაჰკრავდა. ამ ძველ ამბებებს ახლა თვითონ ყველა გატაცებით და ცდილობს, უფრო მეტი მოისინოს და „შეაგროვოს“, დაიმასხროს, მომავალ თაობას გადასცეს. ლეგენდები ხომ ხალხის, ერის ზნესა და ხასიათს გადმოსცემს.

ილამურებსა და ციგებს, მუშაობენ ინსტრუქტორებად და ა.შ. რემოს ბავშვობიდანვე მე-



დიცინა/ანატომია აინტერესებდა, აკვირდებოდა ცხოველებს და ვეტერინარული კურსის გავლის შემდეგ ბაკურთან სოფლის მეურნეობის დასრულებული მოსავლეა. ზაფხულის საკურორტო სეზონზე აპირებს რძის ნაწარმს ბაკურთან რეალიზაცია გაუყუროს - დარწმუნებულია, რომ დამსვენებლები უარს არ იტყვიან პირი ჩაიტკბარუნონ ჯანსაღი პროდუქტით.

ციხისჯვრულ თქმულებებს ემოციურად ყვება, თან ქართული საუბარს ბერძნულ და რუსულ სიტყვებს ურევს და ქვეც თავისებურ სიბლეს სძენს მის მონათხრობს, ბავშვურად ალაღად სჯერა ყველა ძველი ამბის - ამბები შეგნებელ ძალებზე, რომლებიც ხშირად ეცხადებოდნენ ციხისჯვრელებს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ქუჩის განათებები არ იყო, ამბები წინასწარმეტყველ მტაცებელ ფრინველზე თუ სიზმრად ნანახ და ცხადად ახდენილ ამბებზე... ეამაყება, ბევრი თქმულებები რომ იცის, ერთ-მანეთს ადარებს ქართველებსა და ბერძნების განსხვავებულ წეს-ჩვეულებებს, ასე მაგალითად, ქორნილის მეორედღეს სტუმრების ჰალვაზე მიპატივება. ჩვენი რეგიონში ოდიდგანვე სხვადასხვა ეროვნებების ხალხი ცხოვრობდა თავიანთი წეს-ჩვეულებებით, ყოველთვის საინტერესო იყო მათ ტრადიციებზე დაკვირვება, რა შევიხიხილბორცით ერთმანეთისა და რა დარჩა ხელუხლებელი.

**რუსუდან სხირბაია**

**წერილი რედაქციას**

**მადლობა თანაგობისთვის**

**განსაცდელი**, რომელიც თავს დაატყდა ჩემს ოჯახს 2022 წლის 1 მაისს, კვირას ცხოვრობდა დღეს, კვირილი ადამიანების და პროფესიონალი ექიმების წყალობით ტრადიციული მშვიდობიანად დასრულდა. ყველა შენუხდა. გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი უბედურება, გვითანაგრძნეს და დახმარების ხელი გამოგვიწოდეს. გახუთ „ბორჯომის“ საშუალებით მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც თანდაგომა და დახმარება გაგვიწია. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბორჯომის „ჯეოპოსიტივისის“ ხელმძღვანელს, ბატონ **ირაკლი დიასამიძეს**. უდიდესი მადლობა ქორეგებს: **დავით გუნდიშვილს, მალხაზ ლომსაძეს, დავით საბეიშვილს**, რეანიმაციოლოგ **ნუნუკა თოდრიას**.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო მკურნალ ექიმ **დავით გუნდიშვილს**, რომელიც დღემდე მზრუნველობას და ყურადღებას იჩენს ჩემი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიმართ. უდიდესი მადლობა საოპერაციო-ქირურგიკ-რეანიმაციის მთელ მედპერსონალს, რომლებმაც შევიღო გადაამრჩინეს, შევიღო დედა გადაამრჩინეს, ქალაქს კი ზრდილობიანი და თავმდაბალი ადამიანი.

**მადლიერი დედა მიაა ნაოჭოვი-პაპიაიანი.**

**ვიყოფთ ჩვენი ხეობის ისტორია**

**სად აღგზარდეს ისტორიული თორი?**

**თორი** თორელთა განთქმული ფეოდალური სახლის სამშობლოა. მათი ძირითადი სამფლობელოა, მამული, როგორც თვით ამ სახლის სახელწოდებიდან (თორელი) ჩანს, თორის მხარე იყო. ისტორიული თორი დღევანდელი ბორჯომის რაიონის შემადგენელი ნაწილია, რომელიც სამი ძირითადი ნაწილისგან შედგებოდა: (გუჯარულას, შავწყალას და მტკვრის ხეობისაგან). თორის ქვეყანაში არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების შედეგად ადამიანის ცხოვრების უტყუარი ნიშნები ჩანს ნეოლითური ხანის ბოლო პერიოდიდან. აქვე ნიშნდობლივია დასავლურ-ამიერკავკასიური ნეოლოგიური კულტურის ქვის ინდუსტრიის გავლენა. აგრეთვე აღმოსავლეთ-ამიერკავკასიური ადრესამინათმოქმედო კულტურის ელემენტების უტყუარი არსებობა. თორი შუა და გვიან ბრინჯაოს ეპოქაში ინტენსიურად იწყებს დასახლებას. ამ პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლები მეტყველებენ ამ რეგიონში რთულპროფილიანი მეთურნეობის არსებობას. ამ პერიოდიდან მაღალ საფეხურზეა მეთურნეობის ისეთი დარგები, როგორცაა მინათმოქმედება, მესაქონლეობა, მეღვინეობა და სხვა. მასალების გარკვეული ნაწილი თვალნათლივ მეტყველებს დასავლურ ქართული ელემენტის მომქალაქების, გვიანბრინჯაოს ხანისთვის თორის ქვეყანაში იქნება ისეთი მნიშვნელოვანი ლოკალური სამედიოინო ხელოვნების ცენტრი, რომლის ტოლფასი კოლხური კულტურის გაცვრელების სფეროში ჯერჯერობით არ ჩანს. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს გარემოება დაკავშირე-

ბულია თორის ქვეყანის მონაპოვობით, სადაც საგანგებოდ ხდებოდა: მეთურნეობის სხვადასხვა დარგების დანიშნულება. თორის ქვეყანაში პირველი არქეოლოგიური სამუშაოების დაწყება უკავშირდება სოფ. რველში (ბანისხევი) 1911 წელს შემთხვევით აღმოჩენებს, რომელსაც იმავე წელს მოჰყვა პროფ. ვ. გოროდცევის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური გათხრების წარმოება. აქვე 1912 წელს მცირე არქეოლოგიურ სამუშაოებს ატარებს აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. იქ აღმოჩენილი ერთ-ერთი სამარხის კომპლექსის თარიღი მან 3500 წლით განსაზღვრა, რაც შემდგომში არქეოლოგიურმა ძიებამ დადასტურა. პროფ. გოროდცევის სახელთანა დაკავშირებული აგრეთვე 1911 წელს ნაღვერში უზნარაინის ციხის ძირში მდებარე ტერასაზე არქეოლოგიური გათხრების წარმოებაც. ჩატარებულმა სამუშაოებმა გამოავლინა სპონდ-ბრინჯაოს სამედიოინო ხელოსნობის და სამაროვნის ნიშნები. მეტალურგიული სახელოსნო, სადაც ხდებოდა სპონდ-ბრინჯაოსაგან სხვადასხვა იარაღების ჩამოსხმა პროფ. გოროდცევა ძველი ნელთაღრიცხვის XIV საუკუნით დათარიღდა.

თორის ქვეყნის ძველი მეთურნეობის ამა თუ იმ დარგის წარმოსადგენად საყურადღებო მასალებს შეიცავს ნასოფლარ თელოვანში (გუჯარეთის ხეობა) 1904 წელს შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთებისგან შემდგარი განძი. განძში შემავალი ნაირგვარი თიხები და სემენტური არაღი თვალნათლივ მიგვითითებს მინის დიფერენციურ დამუშავ-



თორის ქვეყანა კოლხური კულტურის გავრცელების სფეროში მოაქცია.

1971 წელს არქეოლოგ ო. ლამაშიძის ხელმძღვანელობით ჩატარებულ არქეოლოგიური ძიების დროს ნასოფლარ საკოჭვთან აღმოჩენილი კულტურულ ფენა ნეოლითის ბოლო პერიოდს განეკუთვნება. ხეობაში ადამიანის განსახლების უძველესი ნიშნებს ადასტურებს იქ აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი, რომელიც თავისი არქეოლოგიით გამოირჩევა და მას მცენიერეუნი ძვ. ნელთაღრიცხვის VI ათასწლეულებით ათარიღებენ. საკვან კერამიკული ნაწარმისა და კოჭვების ქვის ნაწარმში ყურადღებას იქცევს ბაზალტის იარაღების ერთი ჯგუფი, რომელიც გამოირჩევა თავისი ოვალური, მომრგვალებული ფორმებით.

თორის მხარე პირველად მოხსენებულია სომხურ ანონიმურ გეოგრაფიაში, რომელსაც მისი რუკის გამოცემული VII საუკუნეს მაკუთვნებს ქართულ წყაროებში თორი პირველად მოხსენებულია „მგზავნი ქართლისა“-ში 1066 წელს სულჯთან სულთან ალფარსლანის საქართველოში შემოჭრასთან დაკავშირებით. **„გამოიწვეა სულთან არფასთან, შეეფ საზრეთის, დასამის გუბრად უგრძნეულად მოვიდა და შემუსრა კანგარი და თორილეთი, და დღესა ერთსა მარბიელმან მისმან უნა ყუელის ყურსა, გადავიდა შეგშეთს, კლარჯეთის და ტაოს, ვიდრე ფანასკერტამდე და მასვე დღესა ჩამოუნია თორს და დღეს-ხელს და თვით დადგა თორილეთს სამ დღე“**. XI საუკუნის ქართული წყაროები ზემო ქართლისა და შიდა ქართლის, სამცხის (ოდრხოსის ქვეყნის და ქართლის საზღვრად ტამისკარს ასახელებენ და ამოგად თორი შეაქვთ სამცხეში. ამით უნდა აიხსნას, რომ უკვე სომეხ ისტორიკოს ასოლიკთან 998 წელს მოხსენებული იმები გამრეკვლები მესხებად იწოდებოდა. XII-XIII საუკუნეში თორი უკვე სამცხისგან დამოუკიდებელი მხარეა. სამცხის სასალარათა იურისდიქცია ამ დროისათვის თორის აღარ სწვდება. თორის მცხოვრებლებიც - თორელები XIII-XIV საუკუნის წყაროებში მოხსენებიან მესხთა, ტაოელთა, შავშთა, კლარჯთა და სხვათა თანაბრად. სამცხის ცნება ამ დროისთვის შეცვლილია ის აღარ მოიცავს თორს. თორი ისეთივე ცალკე თემია, როგორც თვით სამცხე.

**თამარ ჩიკაია** (გაგრძელება იქნება)

# კულოცავთ!

ბორჯომელთა სიზმარს, საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონის ტრამპლინიდან სტომაში, ზამთრის ოლიმპიური თამაშების ოთხგზის მონაწილეს, სხვადასხვა ტურნირებში მრავალჯერ გამარჯვებულს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს - უნესიერეს ბორჯომელს, ყველასათვის საყვარელ ადამიანს - ბატონ **კობა ნაჭარას** გულწრფელად ვულოცავ 88 წლის იუბილეს, ვუსურვებ სანგრძლივ სიცოცხლეს და ბედნიერებას. მისი და მისი ოჯახის წევრების გარდა, ვლოცავ მის იუბილეს მივუძღვნო.



„კობა გორადან“ აფრინდი, შემოიფრინე სამყარო. და დღესაც შენი სახელით ყველა ქართველი ამყავს. გულენის პატარა ბიჭუნამ სპორტით გაითქვა სახელი, ნეტავი დღემ კვლავ მობოს შენებრ ვაუკაცო ქართველი. „აფრინავ ტორპედო“ მოგნათლეს, ხან კი „სამხრეთელ ავანად“, ტრამპლინიდან რომ ხტებოდი, ალბათ ყველაზე ლამაზად. ექვსგზის ჩემპიონი ხარ დიდი საბჭოთა ქვეყნისა, რაც მთავარია, ძირითადი შენი პატარა ვერისა. ამერიკაშიც იყავი, თუმცა ვერ გაძულ დიდხანსო, ვერ შეეღვივებ ვერაფრით ბაკურიანს და მტარბაზსო. გული სულ აქეთ გიწვევდა, სადაც დაგიწევს აკვანი, სადაც რომ გახსენებენ ნატანჯი მაძა-პაპახი. „ნიმს“ და „ვოლგას“ გრეუნიდენ, კარგებში გამოგარჩიეს, მაგრამ შენ როგორც გულენკაცმა ჩანს „კოლხონისტი“ არჩიე. შენი ლამაზი ნახტომით,

ვინ აღარ განაკვიფრო, თვით გერმანიის კანცლერი თუ ნორვეგიის მეფე. ავტობიუსებსაც ჩუქნიდი, პრეზიდენტებს და დედოფლებს, არ იცი შენი სიყვარული არასდროს არც შენი სიყვარული შეგობრებს. სიროხიტომაც შეგაქო და ცამდის ავიყვანაო, მჭავანძემ კი „ჩაიკით“ სახლამდის მიგიყვანაო. ციფრი ორმოცდაათხუთმეტი მტონი არ არის ცოტაო. ამდენჯერ იყავ პირველი და ვერაფერ ვერ გავიწყდაო. ოთხმოცდარვაწლისა შესრული მართლაც ქართული ლეგენდა, შეიღინი და შეიღინი-შეიღინი თავზე გაყვარა ჭერებზე. იმდენი საჩუქრები გაქვს, სიგელები და მელელები, მე მტონი, ვეღარ იტყვენ სახლ-მუხურების კედლები. „კობა ნაჭარას“ კიდევ აფრინდი და ცა შეიღვივებ დახაზე, დაბადების დღეს გილოცავ, ბერძენავ - კობა წაქაქე!

პატვისცემით **ჯემალ ბიბილური**.  
სოფელი დერი.

## სასკოლო მსგავსებები უზღუდვებით

სასწავლო წლის ბოლოს სასკოლო ექსპურსიები აქტიურად ხდება. უმეტესად ცდილობენ დაიგვეგმოს ისეთი ტრადიციული მარშრუტები, საიდანაც შემეცნებით ცოდნასაც მიიღებენ მოსწავლეები და ამ ტურს არ ექნება მხოლოდ გართობა-განტვირთვის მიზანი. ასე იყო მუდამ: გეოგრაფიული მდებარეობის შესაბამისად ვეცნობოდი საქართველოს იმ კუთხეებს, რომელიც ნანახი ლოგიკურად არ გვექონდა. წელს შემოიღეს შეზღუდვები და ცვლილებები, რომლის თანახმადაც სკოლები მხოლოდ ერთდღიან ექსპურსიას დაგეგმავენ და საექსპურსიო მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 150 კმ-ს. აღნიშნული გამკაცრებული ზომები, ახალი რეგულაციები რამდენად დაიცავს მოსწავლეთა უსაფრთხოებას, საკითხავია. საზოგადოებას ამ წესებს არაერთგვაროვანი რეაქციები მოჰყვა. მაშინ, გამომდინარე, რომ არასოდეს არ ნახავს აღმოსავლეთ საქართველოში

მოივლიან სასკოლო ჯგუფები. მეტიც, შეიძლება დაწესებული ლიმიტის გამო მძღოლმა ისეთი სიჩქარით მართოს ტრანსპორტი, რომ როგორც იმ დღესვე დაბრუნდეს უკან. პანდემია კი, რომელიც უკვე ნელ-ნელა „იფერფლებს“ არა მგონია ძლიერი არ-გუმინტი იყოს ამ კუთხით. მაშინ კიდევ რა გამოდის? არ ვნახოთ სვანეთი, არ ვნახოთ რაჭა? არ ვიცოდეთ რა საგანძურია შიდა ქართლში? ჩვენ ამ ცვლილებებზე აზრი ვკითხეთ მასწავლებლებს - პასუხისმგებელ პირს, მოსწავლეს და მშობლებს.

**ლიანა გოგოლაძე:** მე კლასის დამრიგებელი ვარ, ზუსტად ვიცი, რომ მომიწევს ჩემი მოსწავლეების სურვილების განხილვა. იმდენად მოგვაქცევს ჩარჩოებში, რომ ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა ბავშვების წაყვანა როგორც შორ, ასევე ახლო გზაზე. ვარძიაში უნდა წასვლა და ვეცდებით დავეძვემდებაროთ რეკომენდაციებს, თუმცა გადაცდომის შემთხვევაში, არ ვიცი, რა მოხდება.

**ნოდო ჩაჩანიძე:** ჩვენ უკვე დიდები ვართ და ორი წელია ვერსად ვერ წავიდით პანდემიის გამო. ახლა კიდევ ეს ახალი ისეები. ჩემი კლასიდან არავისთვის არაა სასურველი დავემოჩიროთ ამ დაუფიქრებელ მითითებებს. განა სვანეთში, განა გერგეთში ვერ უნდა წავიდეთ? ერთად წასვლას აქვს ხიბლი და პენი, თორემ ისევ შემოიღია მშობლებთან ერთად საქართველოს კუთხეების დათვალიერება.

**ია ქილაძე:** ადრე სულ იყო მოსაზრება, რომ მშობლებს უფრო მიგვიხაროდა ექსპურსიებზე, ჩვენ უფრო გემრიელად ვერთობოდით, მაგრამ რამდენიმე წელია, რაც ჩემი შვილის კლასი დამრიგებელთან ერთად ნამდვილად შემეცნებით ტურებს ასორცილებენ სხვადასხვა კუთხეებში. წელს როგორ იქნება, არ ვიცი... ბავშვები ისედაც სულ ერთად არიან და რა პანდემიური საფრთხე უნდა შექმნას ერთმანეთისთვის, თუნდა ორდღიანი ერთად ყოფნით, არ ვიცი. ძალიან ცუდი რამ მოიგონეს. თითქოს უნდა მიხაროდეს, რომ ჩემი შვილი უფრო დაცული ამ ახალი ცვლილებით, მაგრამ რომ დავფიქრდი - არ უნდა გაცდეს სამცხე-ჯავახეთს?



მცხოვრები მოსწავლე დასავლეთ საქართველოს და პირიქით? რამდენად ნაფიქრია ამ გადაწყვეტილებაზე მანამ, სანამ სკოლებს გაუფხვანდენ? დოკუმენტი წერია, რომ ექსპურსია აკრძალული არ არის, თუმცა მაინც ვერ წავლენ იქ, სადაც უნდა. არაფერს ისე არ ვეთანხმები, როგორც იმას, რომ ექსპურსია-მძღოლმა უნდა წარმოადგინოს ტრანსპორტის გამართულობის დამადასტურებელი საბუთი, აუცილებლად უნდა მიყვებოდეს პირი, რომელსაც ექნება პირველადი დახმარების აღმოჩენის გამოცდლება. ეს სწორია და ამ ნაწილში საკამათოც არაფერია იმ ფონზე, როცა ასე გახშირდა მგზავრობის დროს უბედური შემთხვევები. შემთხვევისაგან კი არავინაა დაზღვეული არც მაშინ, როცა საკუთარი სახლიდან სკოლამდე მიდიხარ და 150 კილომეტრი ვერაფრით ვერ იქნება გარანტი, რომ უსაფრთხოდ

## დათო სანელაშვილის განხილვა

ჩვენო მოუშუშებელი ტიპილო, ჩვენო დათო, 8 ივნისს შენი დაბადების დღეა, 50 წლის გახდებოდი. ასეთ თარიღს ზარ-ზეიმით უნდა აღვნიშნავდეთ, მაგრამ ამის მაგივრად უფრო მეტად გავფხვან გული სევდით და ტიკილით, უფრო მეტად თვალცრემლიანებით ვართ. დაბადების დღე, რომელსაც უკვე მეცამეტედ ვხვდებით შენს გარეშე. უშენობა მოუწვევბელი ტიკილია, მშობლებს არ უნდა უკვდებოდნენ შვილები, ასე არ უნდა ხდებოდეს ამქვეყნად - ისინი არ უნდა ხედავდნენ შვილების ტყნობას და ჩაქრობას. მაგრამ ვაი, რომ ვერ შევცვლით ამ ცხოვრების კანონებს. ნათელში იყავი, ჩვენო გაჭკაცო, ღმერთს ებარებოდეს შენი სული, ლოცვა და სანთელი არ მოგაკლდება არასოდეს!



შენი დედა და და

## შემოქმედებითი სალონის სხვაკლთან ნაწილაკი

ამბობენ, დაგვიანებული სიტყვა უფრო ტკბილია, რადგან დიდი მოლოდინი უნდა გამოიაროს. ამიტომ მე შეგიხვედით ბოდიშს ვისდია, რომ შემადგინდა 13 მაისის საღამოს შესახებ რომ მეთქვა ორიოდე სიტყვა. იმ დღეს ბორჯომის სამუსიკო სკოლის დარბაზში მთლიანად შეივსო, პოსტანდემიურ პერიოდის გამო ისედაც ძალიან მოწყურებულია საზოგადოება ღირებულ, განმტვირთავ საღამოებს, რომელშიც ლიტერატურულად რომ ვთქვათ, მთავარი პერსონაჟი გახლდათ უპირველესად, ერთ-ერთი სამაგალითო პედაგოგი, წლების წინ აქტიური ურუნალისტური მოღვაწეობით, სოლო შემდეგ პოეტი ქალბატონი - **ანასტასია ხარბია**.

შემოქმედებითი შეხვედრის ორგანიზება და ინიციატივა მთლიანად ბორჯომის საკრებულოს კულტურის კომისიის თავმჯდომარეს, ქალბატონ **გიორგია ბალახაშვილს** ეკუთვნის. ქალბატონმა გიორგია ბალახაშვილმა გზა-დაგზა გააგონო მონველ აუდიტორიას პოეტ ანასტასიას ბიოგრაფიული შტრიხები, ცხოვრებისეული ისტორიები; ამას მოჰყვა ახლობლებისა და დამსწრე საზოგადოების

ლდათ თავად ტასიკო მასწავლებლის შვილიშვილი - მოსწავლეების სურპრიზი ქალბატონი **ნანა ლორთქიფანიძის** იდეით: მათ ტკბილი და სამასსოვრო ფრაზებით შექმნეს კომპოზიცია და ამით კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვეს მისი, როგორც სამაგალითო ბების ამბულას. საღამოში დიდი შინაგანი ღელვით იღებდნენ მონაწილეობას პოეტის მოსწავლეებიც. არაჩვეულებრივი დღე სისხარულია - ალბათ ასე დეარქმევდით, 13 მაისს, როცა თავდაბალი, მოკრძალებული, ცოდნით სავსე თავთავით თავდახრილი ქალბატონი ანასტასია ანასტასიას და ყურადღებას, იღებდა სიტყვით, უშრეტ ენერჯის, რომ კვლავ გაგვანებივროს თაობა ლექსებით, რომ კვლავ შემოხაზოს ლამაზი ბნკარედები ბორჯომ-ქალაქზე, აქტიურად მიუძღვნას სათაყვანო ექსპრომტები სასურველად აღამიანებს. ასეთ ადამიანებს სჭირდებათ საზოგადოების ყურადღება, რადგან ბუნებრივად აღმოთქვას: **ამ დღეს ხელმოწერად დაგვიადიო**. შემოქმედებით საღამოს ამშვენებდა **ლელა მუხურაძის** - სალოტბარო სკოლის გუნდი, ასევე სამუსიკო სკოლის ნიჭიერი შემსრულებლები. ადგილობრივმა მერიამ და საკრებულომ გარკვეული სასაჩუქრე ნაკრები უსახსოვრეს შეხვედრის შესანიშნავ გმირს. მადლობა, რომ არსებობენ ასეთი პედაგოგები, ასეთი ქართული ენის ქომოტი ავტორები.



შეფასებები. სიტყვით გამოსვლისას ყველა ერთხმად აღნიშნავდა ქალბატონი ანასტასიას პოეტურ ბუნებას და ადამიანურ ღირსებებს, ჰუმანურ დამოკიდებულებებს ერთდროულად, როგორც სკოლის სივრცეში მოსწავლეებთან, ისე ყველასთან. პოეზია ხომ ღვთაებრივი მადლია და არაერთმა გამომსვლელმა წაიკითხა სიტყვაკაზმული ქართულით საკუთარი ლექსიც. შეხვედრის ყველაზე ორიგინალური ჩანარით, რამაც თვისობრივად დამაშვენა, გახ-

## სპირიტუალი ამახები

თბილისში, სპორტის უნივერსიტეტის სტადიონზე ჩატარდა ღია პირველობა მძლეოსნობაში ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის, სამგზის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულის, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორის, რვაგზის ვერობის ჩემპიონის, მსოფლიო რეკორდსმენის, საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენის, ლეგენდარული ვიქტორ სანეევის სახელობის პრიზზე.



ასპარეზობაში მონაწილეობა სპორტის უნივერსიტეტის 100-მდე სტუდენტმა მიიღო. 100 მეტრზე სირბილში ასპარეზობისას ამ უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი და თბილის-მურებით ტრამპლინიდან მსტომელმა ბაკურიანელმა **ესმა გობოზოვამ** მესამე ადგილი დაიკავა. ესმა პირადად ცნობილია ქართველმა ოლიმპიელმა მძლეოსანმა, 1988 წლის სურლის ოლიმპიური თამაშების ბრუნჯაოს მედლის მფლობელმა **მაია აზარაშვილმა** დაავლიდოვა. სხვადასხვა დისციპლინებში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ მედლებით, სიგელებით, წიგნებით ქართველი ოლიმპიელების შესახებ და სხვა საჩუქრებით. შეჯიბრის ორგანიზატორები სამომავლოდ ტურნირის გაფართოებას გეგმავენ.

ნენ, მწვრთნელი **იბრაგიმ გობოზოვი** ამბობს, რომ ფინეთის ტურნირამდე მხოლოდ გასული წლის დეკემბერში იყვნენ შეკრებაზე ყაზახეთში. დანარჩენ დროს ბაკურიანში გადიოდნენ წვრთნას და 40 მეტრთან ტრამპლინიდან ფრეთში აღმოჩნდნენ 100 მეტრიან ტრამპლინზე.

- გასაგებია, რომ ყველას სწორება 2025 წლის ბაკურიანში გასამართ საერთაშორისო შეჯიბრებებზე აქვს, მაგრამ რადგან ასაკობრივი შეზღუდვის გამო ესმა ამ ფესტივალზე ვერ სვდება და ამიტომ ვეძებდებით 2026 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის, რომელიც კორტიინა დამპეცოში გაიმართება. ესმას მიღებული აქვს მონაწილეობა იმ ტურნირებში, რომლებიც იტალიის ამ ქალაქში იმართებოდა, ამიტომ ეს ოლიმპიური ტრამპლინები მისთვის ნაცნობია. უნდა ბევრი ვიმოროთ.“ - ასკვნის **იბრაგიმ გობოზოვი**.

## ანასტასია (იბო) შარაშინის ბაიოსათხოვარი

ამბობენ, აღდგომის დღეებში ვინც გარდაიცვლება, სამოთხეში სვდებაო, მაგრამ შენი ამქვეყნიდან წასვლა მაინც ძალიან სამწუხაროა. გვინდოდა, რომ საუკუნე დაგვეცვა, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ბორჯომის №2 საშუალო სკოლის პედაგოგთა დიდი ტიკიი სარ. შენ ყველა იმ ღირსეული თვისებებით იყავი დაჯილდოებული, რასაც პქვია სიყვარული, მეგობრობა, ერთგულება, სტუმართმოყვარეობა. ამ თვისებების გამო დაგვიტოვე შეუფასებელი ავტორიტეტი. დიდი სიკეთის მატარებლად დარჩები ბორჯომელების, შენი ყოფილი მოსწავლეების გულებში. უზომოდ ვწუხვართ იმ ტიკიილის გამოსახატავად, რომელიც შენმა გარდაცვალებამ გამოიწვია. შენ სახელს დაგინებდა არ უნერია. ნათელში ყოფილიყოს შენი ამაყი სული. მსუბუქი იყოს შენს გულზე დატოვილი ბორჯომის მიწა.



შენი სოფლის პედაგოგიური კოლეჯი.

ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობა ღრმად მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ბორჯომზე და ბორჯომელებზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება **ანასტასია შარაშინია** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: პალპირან ლომიძე

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2 ტელ: 22-29-65. იბოქობა შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თეგდორე მღვდლის №57 borjomi@inbox.ru